

# სამეურნეო ჟურნალი

# მოსსავლი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდალ . . . . . 10 კაპ. || ადრესი: Тифлисъ, Ворятинская, № 5.

## წელიწადი მთლიან

1910 წელიწადი.—ოქტომბერი, №№ 19 & 20.

### შინაარსი

ე. იოსელიანი . . . . .	სამეურნეო გამტეხვანი ხვენში . . . . .	3
ვ. გულბათიშვილი . . . . .	თურქული . . . . .	5
ვ. ანოშვილი . . . . .	დიდი ხეების გადარგვა. . . . .	7
ვ. ქათამაძე . . . . .	ფრინველების მოვლა-მოშენება. . . . .	8
ვ. ცხადაძე . . . . .	შუღის ბაღი გომბორში და სეტუვის ასაცდანი ბაღები . . . . .	13
ს. კახელიძე . . . . .	როგორ იშოვეს სოფ. მ. მცხოვრებლებმა თუფი სამეურნეო-საჯავახო საჭირებისათვის, მოთხრობა მ. ბარანცოვისა . . . . .	16

### საყურადღებო ცნობები:

ვირთაგვების გასაწევრები საშუალება . . . . .	24
უმი ხორცის შენახვა . . . . .	24

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:—  
პ. აგერკინისა, ა. აფხაზისა, აგრიკოლოსი, ვ. ახაშვილისა, ვ. ახლაძესი ლ. გოგნიევისა, ვ. გულბათიშვილისა, დ. გორთამაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელექსი, ზ. ედილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამაშვილისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჭერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძესი, დ. მდივანისა, ს. მგალობლიშვილისა. მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. შქედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ც. ნ., ი. პააცაშვილისა, ვ. რცხილაძესი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნაგოვისა, ვ. უ—ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. სრამელაშვილისა, მ. ჟანაშვილისა, ი. ჯორჯაძესი და რამდენიმე წერილი სელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს **კოლეგია**, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმთ, ვინც ქალაქ გარედ სტოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირიპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ლამბაშიძე ვ., ალაძე ი., გულისაშვილი მ.

## თანამშრომელთა საშუალები.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლას. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექენა-გასაღებაში.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**. წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეიძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

## ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**

## სამეურნეო გამოცემანი ჩვენში

არსებული სამეურნეო საზოგადოება, ამბობს „სახალხო გაზეთი“, იმდენად უღონოა, იმდენად დაშორებულია სოფელს, რომ ერთი ქართული სამეურნეო გაზეთიც ვერ დაუარსებიაო. არა ბატონო, საზოგადოებამ თუ გინდათ იცოდეთ სამეურნეო გაზეთის გამოცემა ქართულ ენაზე ჯერ მაშინ დაიწყეთ, როცა მთელ კავკასიაში მხოლოდ ერთი ოფიციალური „კავკაზი“ გამოდიოდა. თუ არ წაგიკითხავთ გვეგონებათ მაინც „გუთნის-დედა.“ — პირველი № ამ სახელით სამეურნეო გაზეთი გამოვიდა 1867 წ. კნ. გ. დ. ორბელიანის ინიციატივით. რედაქტორად ითვლებოდა ივ. კერესელიძე, შემდეგ რედაქტორობა მიანდეს გ. წერეთელს, შემდეგ „გუთნის-დედა“ გამოდიოდა ან. ფურცელაძის რედაქტორობით. როგორცა ხედავთ გაზეთის რედაქტორები ცნობილი ქართულ საზოგადოებაში ლიტერატორები იყვნენ, თუმცა არც ერთი მათგანი აგრონომი არ ყოფილა. ჩააბარეს გაზეთი მათ და არა აგრონომს იმიტომ, რომ როცა გაზეთის გამოცემა დაიწყო საზოგადოებამ მთელ კავკასიაში ერთი აგრონომიც არ მოიპოვებოდა. შემდეგში ჩამოვიდა აგრონომი ოქრო-მკედლოვი, მაგრამ მას ქართულად წერა არ ეხერხებოდა.

„გუთნის-დედა“ გამოდიოდა რვა წლის განმავლობაში, დაიხარჯა მის გამოცემაზე ათას თუმანზე მეტი. გაზეთთან ერთად რედაქციამ გამოსცა რამდენიმე წიგნი, სხვათა შორის წესდება შემნახავ-გამსესხებელი ამხანაგობისა,

მაგრამ გაზეთი სოფლისათვის უცხო იყო, სოფელში ფები ვერ მოიკიდა და მეურნეობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მიზეზი? მიზეზი მრავალი იყო. საზოგადოებამ რომ გაზეთის გამოცემა დაიწყო ჩვენში ჯერ კიდევ ბატონყმობა სუფევდა. ბაასი გონივრულ, მეცნიერულად მამულის შემუშავებაზე იმ კაცთან, რომელიც შემძლიან გამოვიყვანო ოჯახიდან და გავყიდო, როგორღაც მოუხერხებელია, მასხარად აგდებოდა მეცნიერებისაც და ადამიანისაც, თუმცა იქნება ბევრი ვერც კი ხედავდა ამ უხერხობას. სოფელი მოკლებული იყო წერა-კითხვის ცოდნას. ადვილად შეხვდებოდი მაშინ თავად-აზნაურის ოჯახსაც კი, საცა მრავალმა მის წევრმა სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ იცოდა. გაზეთი გამოდიოდა, მაგრამ მკითხველი არსად ყვანდა. ისეც რომ არ ყოფილიყო, რა უნდა ესწავლებინა ქართველ მეურნეობისათვის სამეურნეო გაზეთს, როცა თვით **აგრონომია-მეცნიერება** არ არსებობდა. როგორც ხედავთ მთელი ჩვენი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა გაზეთს. ვისაც კი ღვთის ნაპერწკალი უღვიოდა გულში მეურნეობაზე არა ფიქრობდა, ყოველი მისი ძალა მიმართული იყო იმ სამარცხვინო უღლის მოსაშორებლად, რომელიც ქართველ ხალხს ედო კისერზე ბატონ-ყმობის სახელით.

სამეურნეო გაზეთი შემდეგ გადავიდა კერძო პირთა ხელში. მის გამოცემას შეუდგა პ. უმიკაშვილი, მერე ვ. სულხანიშვილი, ქუთაისში სამეურნეო გაზეთის გამოცემა დაიწყო ილ. ჭყო-



ნიამ, ტფილისში ბ. სულხანიშვილის  
 შემდეგ ივ. როსტომიშვილმა. ცხოვრე-  
 ბამაც იცვალა ფერი: ბატონ-ყმობას  
 მოელო ბოლო, სოფელი წერა-კითხვის  
 მხრივ იმ უნუგეშო მდგომარეობაში  
 აღარ იყო, როგორც ბატონ-ყმობის  
 დროს. მეცნიერულმა აგრონომიამაც  
 მოიპოვა შინაარსი, გაჩნდნენ აგრეთვე  
 თითო-ორიოლა ჩვენშიაც აგრონომები.  
 ყველა ეს რასაკვირველია ხელის შემ-  
 წყობი იყო სამეურნეო გაზეთის გავრცე-  
 ლებისა, მაგრამ აბა გადავლეთ თვალი  
 მეურნეს მდგომარობას ჩვენში, განა  
 გაზეთი დაუახლოვდა მეურნეს, მოი-  
 პოვა მან ალაგი ჩვენს მეურნეობაში,  
 ჩააბა კავშირი სოფელთან? სამწუხ-  
 რად არა. გაზეთი იყო სხვათა შო-  
 რის. გამომკვებელი უპირველესად ყოვ-  
 ლისა ემსახურებოდა თავის კერძო  
 ინტერესს, მერმე სამეურნეო გა-  
 ზეთს. განა ამისთანა საქმიანობით საქ-  
 მე გაკეთებულა? ჩვენ ყველანი იმას  
 გავიძახით რომ მეურნეობა ჯერ-ჯერო-  
 ბით ჩვენთვის ერთად ერთი სახსარია,  
 რომელმაც უნდა დაგვიხსნას სიღარი-  
 ბიდანაო. ეს აზრი ცოტად თუ ბევ-  
 რად შეგნებულია დღეს ჩვენში. მაგ-  
 რამ ვინ არის გზა-კვალის მაჩვენებ-  
 ლი? გაზეთი მაშინ როგორც წინამძ-  
 ლოლი უღონო იყო. უღონო იყო ცოდ-  
 ნით, უღონო იყო ნივთიერული შეძლე-  
 ბით, უღონო იყო დროს უქონლობით.  
 კაცი სოფელს ვერ მიკარებოდა მიღი  
 წინამძღოლობა კი უნდოდა. განა ეს  
 შესაძლოა? მეურნე ყველგან მტკიცე  
 მიმდევარია მამაბაპური ტრადიციისა.  
 ასეთ მეურნეს რასაკვირველია ვერ შეა-  
 ცვლევინებდა საუკუნოებით გატეხილ  
 გზას უღონო გაზეთი. გაზეთი სოფელს  
 ვერ იცნობდა, ვერ ხედავდა და მე-  
 ურნეობისათვის კი მოწადინებული

იყო წამალი დაედო. აი რა უშლიდა  
 და რა უშლის სამეურნეო გაზეთს  
 ალაგი მოეპოვებინა სოფლის ცხოვ-  
 რებაში.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ  
 ჩვენ მეურნეობაშიაც ჩაისახა ახალი  
 პროცესი, რომელიც ჩვენ შეუმჩნე-  
 ვლად ნელ-ნელა ძლიერდებოდა. როცა  
 ბატონ-ყმობის განთავისუფლების დროს  
 კამიტეტმა წამოაყენა კითხვა შესახებ  
 იმისა როგორ უნდა ეუფლათ საძოვრე-  
 ბით მებატონეებსა და ნაყმევეებს, არავი-  
 თარი მასალა არ აღმოჩნდა კითხვის  
 გარდასაწყვეტად, თუმცა კამიტეტის  
 წევრებად არა ერთი და ორი ჩვენი  
 დიდი მემამულე ითვლებოდა. მეურ-  
 ნეობის განვითარება ანუ უკეთ რომ  
 ვსთქვათ მისი ნაყოფიერების გადიდება  
 ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს როგორც  
 შედეგი ახალი ევროპიული ტენიკის  
 შეტანისა სამეურნეო მუშაობაში. რომ  
 ტენიკა შრომას ნაყოფიერებას უმატებს  
 ეს ექვ გარეშეა. ამ მიზეზით ჩვენ მარ-  
 ტო იმას ვცდილობდით, რომ ცოტათი  
 მაინც გაგვევრცელებინა ახალი ტენ-  
 ნიკა ჩვენს მეურნეობაში და შეუმჩნე-  
 ველად გვრჩებოდა ტენიკის მეორე  
 მხარე: რომ სადაც ტენიკა მტკიცედ  
 იკიდებს ფეხს, იქ მეურნე იძულებუ-  
 ლია თავის სამუშაოდან ნაწილი მრე-  
 წველს დაუთმოს. გვაეწყდებოდა რომ  
 მეორე მხარე ტენიკისა შრომის განა-  
 წილებაა, რომ იგი ანაწილებს შრო-  
 მას, რომლის ერთი ნაწილი მრეწვე-  
 ლის ხელში გადააქვს და თანდათან ვიწ-  
 როვდება სამეურნეო სარბიელი. ეს მხა-  
 რე აუცილებელია მეურნეობის განვი-  
 თარებაში. ეხლა ამ პროცესმა ჩვენ-  
 შიაც იჩინა თავი. მაგალითი ამისი მრავ-  
 ლია. აიღეთ აბრეშუმის მოყვანა, მე-

ღვინეობა, ყველის კეთება, ბაბბის ამოღება და სხვა. ყოველ ამ ჩამოთვლილ დარგებში მეურნემ ნაწილი თავის შრომისა გარდასცა მრეწველს. აი ეს მეორე მხარე ტენიკის განვითარებისა მეურნეობაში უსაფუძლოდ ხდის

მამულის კონცენტრაციას. ჩვენ აქ ვრცლად ვერ შევხებით ამ მოსახრებას, მხოლოდ აღვნიშნავთ რომ კონცენტრაცია მამულებისა უფრო საზარალოა მრეწველობისათვის, ვინემ სასარგებლო.

ე. იოსელიანი

## თურქული

დადგება ზამთარი და ან ერთ სოფელში ან მეორეში გაჩნდება თურქული. თუმცა საქონელი ამ სატკივრით იშვიათად იხოცება, მაგრამ მაინც გამოწვეული მისგან ზარალი უდიერია. რაკი გაჩნდება თურქული რომელსამე სოფელში იგი დაუყონებლივ მოედება ხოლმე მთელი სოფლის საქონელს. მეწველი ძროხა რძეს ჰკარგავს, ზოგს ცურის ანთებაც ემართება, მორჩენილი იმდენს ველარ იწველის, რამდენსაც სენის შეყრამდე იწველიდა; საქლავი საქონელი საშინლად ხდება, ხბორები ზოგჯერ იხოცებიან კიდევაც; გამოქნილი საქონელი უღელში ველარ ებმის.

ყველა ეს ზარალი რომ დაითვალოს ოღონდაც დიდი დანაკლისი შესდგება.

თურქული გადამდები სენია. ამ სენით ავად ხდება კამეჩი, ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი და იშვიათ შემთხვევაში ცხენიც.

თურქულიან საქონელს სტკივა პირი და ფეხები ჩლიქებთან, ძროხებს — ცურიც.

თურქულით შეიძლება ადამიანიც გახდეს ავით თუ ავადმყოფი საქონლის ნერწყვი მოხვდა როგორმე ადამიანს კრილობაში და შეერია მის სისხლს სხეულში. თურქულიანი ძროხის რძით

ბავშვები ხდებიან ავად, თუ აუღულარი დალიეს.

თურქული იწყობა იმით რომ საქონელს მისცემს სიცხეს 40—41<sup>0</sup> ხან მეტსაც, მეწველი საქონლის რძეს მოყვითალო ფერი ეძლევა და ადულდებაში ხშირად აიჭრება ხოლმე. დაავადებული საქონელი დაღონებულია, ღრძილები, ენა, ლოყები დაწითლებული აქვს, პირი გამშრალ-გაცხელებული; ცოხნა და ჩაყლაპვა სასმელ-საჭმელისა ეძნელება. პირიდან ნერწყვი სდის.

ავად გახდება თუ არა საქონელი ერთი-ორი დღის შემდეგ ტუჩებზე, ენის გვერდებზე, ხან სასაზედაც და ცხვირშიაც გამოაყრის მოთეთრო ან მოყვითალო მუწუკებს ფეტვის მარცვლის ოდენას, რომელნიც შემდეგ იზრდებიან და თხილის ოდენა, ზოგჯერ უფრო დიდრონებიც გახდებიან. ორი — სამი დღის შემდეგ ეს მუწუკები სქდება და ნამუწუკარი ადგილები იარაღდება. სანამ ეს იარა გაუმთელდება საქონელს ჰამა-სმა უძნელდება. თუ სატკივარი გაარჯლდა, სენი პირიდან კუჭის კედლებზედ გადადის, მერე ნაწლევებზე, საქონელს კუჭი ეშოება და შეიძლება კიდევაც მოკვდეს.

თურქული პირიდან ზოგჯერ სასულეზედაც გადადის და სუნთქვას აძ-

ნელებს; ყოფილა შემთხვევა რომ ავად-  
 მყოფობა თვალეზედაც გადასულა და  
 თვალის კაკლის გამკვირვალე გარსზედ  
 დაუყრია მუწუკები. ზოგჯერ ამ სე-  
 ნის წყალობით საქონელი გაბერწდება  
 ხოლმე.

თურქულიან საქონელს ფეხები სტკი-  
 ვა, სიარული არ ეხერხება, უფრო წო-  
 ლას რჩეობს, ჩლიქებში და ცოტა  
 ზემოდ ფეხში სიცხე აქვს, ხელი რომ  
 დავაჭიროთ სტკივა. ერთი-ორი დღის  
 შემდეგ ჩლიქებ შუა გამოაყრის მუწუ-  
 კებს, მუწუკები სქდება, ადგილი ეყე-  
 ლება, მერე შრება-ხმება და, თუ ისევ  
 არ შეუბრუნდა, ერთ-ორ კვირაზე რჩე-  
 ბა საქონელი თავისთავად.

თუ კარგად მოეუარეთ თურქულიან  
 საქონელს და ვუწამლეთ კიდევაც სა-  
 ქონელი უფრო მალე მორჩება. მოვლა-  
 წამლობა ასე უნდა ხდებოდეს:

ავადმყოფი საქონლის სადგური უნ-  
 და ხშირად გასუფთავდეს-განიავდეს;  
 ქვეშ საქონელს ნამჯა უნდა დაეგოს  
 ბლომად, რომ რბილად დაწვეს. ამ  
 ნამჯას მალი-მალ უნდა გამოცვლა.

საკმელად უნდა მიეცეს ფქვილის  
 ქუმელი ან ქატოს რომი და მოხარ-  
 შული ბოსტნეული; სასმელად სუფთა  
 ცივი წყალი, რომელსაც ცხარე ძმა-  
 რი ან სუფთა მარილის სიმყავე უნდა  
 დავკრათ ცოტა (ერთ ვედრა წყალზე  
 ერთი ჩაის კოვზი ძმარი ან მარილის  
 სიმყავე).

დღეში 3-4-ჯერ უნდა გამოერცხ-  
 ხოს პირი, თუ დაუმუწუკდა შიგ-  
 ნით, კარბოლის სიმყავით (ერთ ბოთლ  
 ადუღებულ და მერე გაციებულ წყალ-  
 ზე ერთი ჩაის კოვზი კარბოლის სიმ-  
 ყავე).

დიდი მნიშვნელობა აქვთ ყველა იმ  
 ზომებს, რომელნიც სალი საქონლის  
 მოსარიდებლად სატკივრისაგან უნდა  
 იხმარებოდნენ.

თურქულიანი საქონელი უნდა გამო-  
 შორდეს ნახირს და ცალკე ვიყოლიოთ,  
 სანამ მორჩებიან. არც ნეხვის გამო-  
 ტანა თურქულიანი საქონლისა გარეთ  
 მინდორში ან გზებზე, სადაც ნახირი  
 ადვილად ხვდება, არც მათი მომვლე-  
 ლის მიკარება სად საქონელთან არ  
 შეიძლება, რადგან თურქულის გადა-  
 ტანა ფეხით, ტანისამოსით და სხვა  
 ავეჯ-იარაღით ძლიერ ადვილია. იმ  
 სოფლებიდან სადაც თურქული მძვი-  
 ნვარებს არც სყიდვით, არც ქირით,  
 არც საძოვრად, არც სამუშაოდ საქონ-  
 ლის შერევა სხვა სოფელში სადაც  
 თურქული არ არის გაჩენილი არ შეი-  
 ძლება. ასეთი სასტიკის დაცვით შეიძ-  
 ლება სატკივარს ბოლო მოეღოს  
 იქვე, საცა გაჩნდა და მრავალი სოფ-  
 ლები გადარჩნენ მოსალოდნელ დიდ  
 ზარალს.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“,  
 ხოლო ზოგჯერ კი გაცლითაც დაშავ-  
 დების. რადგან თურქული ძალიან მა-  
 ლე გადადის საქონლიდან საქონელზე  
 და ადვილად მოედება ხოლმე მთელ  
 სოფელს, ამიტომ გაჩნდება თუ არა  
 ეს სენი, მაშინვე იმ სოფელში და ახლო-  
 მახლო სოფლებშიაც საქონელს უნდა  
 თურქული აეცრას. ჯერ ერთი რომ აც-  
 რილ საქონელს უფრო ადვილად გაუფ-  
 ლის ხოლმე სატკივარი და მეორე მთელი  
 ნახირი სახადს ერთბაშად იხდის და შე-  
 დარებით მოკლე ხანში განთავისუფლ-  
 დება.

### 3. გულბათიშვილი

## დიდი ხეების გადაჭრა

ზოგჯერ კარმიდამოში, ვენახში, გზაზე უალაგო ალაგას დიდი ხე დგას რომელიც პატრონს ვერც მოსაჭრელად გაუმეტებია და ვერც გადაუჭრავს, რადგან არ იცის როგორ გადაჭროს ისე რომ ხე არ გაფუჭდეს, არ გახმეს.

მართლაც და დიდი ხეების გადარგვა დიდ სიფრთხილესა და გამოცდილებას თხოულობს. საქმე იმაშია რომ რამდენიც მეტი ფესვი დააკლდება ხეს გადარგვის დროს, იმდენი მეტი ტოტი უნდა შეეკაფოს რომ შერჩენილმა ფესვებმა საკმაო საზრდო მიაწოდონ ყველა დარჩენილ ტოტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტოტები ხმობას დაიწყებენ და რაც მათზე დედამიწის სინოყივრე იყო დახარჯული ამაოდ ჩაივლის. მეორე მხრით დიდ ხეს დიდი ტოტები აქვს, თუ ეს ტოტები ღრმად და ბლომად შევაჭვრით, ხე ვეღარ იხეირებს და გახმება.

მაშასადამე გადარგვაში დიდ ხეს ფესვებიც ბლომად უნდა შერჩეს და ეს კი მოსახერხებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ხის ამოღებასაც და გადარგვასაც ისე მოვახერხებთ, რომ ფესვების ანაყოლი მიწა ზედ შერჩეს მას და არ ჩამოენგრას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი ფესვი მოემტვრევა, დაზიანდება და ხე ან დაიხარება ძალიან ან სრულიად გახმება.

მიწის მოუშორებლობა ფესვებიდან მარტო ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული, არამედ ნიადაგის მდგომარეობასაც აქვს აქ დიდი მნიშვნელობა.

ნიადაგი უნდა შემძრალი-შემჭიდროებული იყოს და არა გაფხვიერებული-

გამომშრალებული რომ ხის ამოღება-წალეებაში ფესვებს თავისთავად არ გასცვივდეს თან აყოლილი მიწა. ამიტომ ჩვენში დიდი ხეების გადარგვა მოსახერხებელია უფრო ნოემბრის გასულს ან დეკემბერში როცა ნიადაგი ამომძრალია.

თვით გადარგვა ასე ხდება: ხის განაპირა ტოტების წვერებიდან, რომელნიც ყველაზე განზე არიან გასულნი, ჩამოუშვებენ დედამიწაზედ შევულს და შემოავლებენ ხის გარეშემოწრეს. მერე ამ წრის პარალელურად შემოხაზავენ შიგნით მეორე წრეს  $\frac{3}{4}$  არშინის დაშორებით პირველი წრიდან და ამ ორ პარალელ წრეების შორის ამოთხრიან მიწას ისე რომ გათხრილი არხი ძირშიაც იგივე  $\frac{3}{4}$  არშ. იყოს სიგანით და კედლები სწორეთა ჰქონდეს ჩათხრილი. სიღრმე ამ ირგვლივ შემოჭრილ არხისა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ღრმად არიან თვით ხის ფესვები წასულნი.

თუ არხის შიგნით კედელზე ხის ფესვები არა ჩანან ან ძალიან ცოტანი არიან, რომ ხე ცოტათი მაინც შესუმბუქდეს ამოსაღებათ, კიდევ უნდა ჩაეცალოს მიწა, ხოლო ძალიან ფრთხილად კი უნდა მოიქცნენ რომ წვრილი და ნაზი ხეწებში ფესვებისა არ დაშავდნენ. ასეთივე დიდის სიფრთხილით ხეს შეუთხრიან ძირს ქვეშიდან, მხოლოდ სულ კი არა, რომ ფესვებს მიწა არ ჩამოეშალოს. შემდეგ ამისა დასტოვებენ ხეს ასე სანამ კარგა მოყინავს. როცა ყინვები დადგება დაუსხამენ წყალს ფესვებზე და დააციდინ გაიყინოს.



მერე ქვეშიდან შეუთხრიან მთლად, მოაშორებენ ხეს ძველ ნიადაგს, ჩაუთხრიან ორმოს ცალი მხრიდან, რომ ფიცარი ჩაეწვინოს და ამ ფიცარზე ამოაცურებენ ხეს ფესვებ აყოლილ მიწიანათ ხელით ან საქონლის შემწეობით. თოკს ან ჯამბარას ფესვებ აყოლილ მიწის გარეშემო შემოჭერაში პატარა ფიცრები უნდა დავატანოთ რომ თოკი მიწაში არ ჩაეჭდილოს და ამოწევაში მიწა არ შემოენგრას ფესვებს. ამოღებულ ხეს დაუდებენ მერე ურემზე ან მარხილზე და მიიტანენ სადაც ჩარგვა უნდათ. ახალი ორმო უფრო განიერი უნდა იყოს და სიღრმეც უნდა ნახევარ არშინით ან სამი ჩარეკით მეტი ჰქონდეს, ვიდრე ფესვ-აყოლილ მიწასა აქვს. ორმოს კედლები სწორედ უნდა იყვნენ ჩათხრილნი; ამოთხრაში ზევითი პირი ნიადაგისა ცალკე უნდა მოგროვდეს ერთ მხარეს, ქვევითი—მეორე მხარეს, რომ არ აირიოს. როცა ორმო მზათ იქნება ზევითა პირის ნათხარს უნდა ერთი მესამედის ტოლა საქონლის ძველი სასუქი გადაერიოს და ეს ნარევი ჩაეყაროს ხეს ძირში იმდენი რომ როცა ხეს ჩარგავთ, მის ანამყოლი მიწა ნიადაგის ზევითა პირს გაუსწორდეს. ხეს რომ ჩავუშვებთ ორმოში ჯერ უნდა გავასწოროთ რომ სწორედ დადგეს და მერე ცოტ-ცოტათი ჩაუყაროთ სასუქარეული მიწა და თან იტკეპნოს ფეხით კარვად, რომქარმა მერე ხე არ გაანძრიოს ფესვებიანათ. ორმოს ძირიდან ამოღებული მიწა, რომელიც ცალკე იყო დაგროვილი, ხეს შემოეკოკებება გარეშემო, ცოტა მოშორებით და გაკეთდება წყლის ჩასასხმელი შემოდრმავებული ადგილი მოსარწყავად.

თუ გადარგვის დროს ძალიან ჰყინავს და ფხვიერი მიწა ძნელი საშოვნელია, დამძრალ-დაგორხებულ მიწას ჩაუყრიან ხეს, მაგრამ მერე როცა ყინვები გაივლის კიდევ მიუმატებენ მიწას და დასტკეპნიან.

თუ ხე მალალია გვერდით უნდა ღონიერი სარი შეედგას და მიეკრას ზედ, ან და უფრო უკეთესი იქნება თუ სამი მხრიდან პალოები დაერქო და თოკებით ან მავთულებით მიმაგრდა ხე ამ პალოებზე.

როცა ვრგავთ ხეს უნდა არ დავივიწყოთ ის გვერდი, რომელიც წინად ჩრდილოეთისაკენა ჰქონდა მიქცეული, ჩრდილოეთისაკენვე მივუქციოთ ისევ, თორემ წინად სამხრეთისაკენ მიქცეული გვერდი, როგორც უფრო მეტ სხივებს მზისას ჩვეული, ეხლა ჩრდილოეთისაკენ რომ მივაბრუნოთ იმდენ სითბო-სინათლეს ვეღარ მიიღებს და ცოტა არ იყოს დაიჩაგრება. თუ ხეს გადარგვაში მაინცა და მაინც ბევრი ფესვები შემოემტვრა, იმის დაკვალად ტოტებიც უნდა შეესხლას, თორემ ფესვდაკლებული მცენარე ყველა ტოტებს ვეღარ მიაწვდის საკმარის საზრდოს.

როცა გადასარგავი ხე ძვირფასია, მაგალითად ძვირფასი ვაშლია ან სხვა რომელიმე სანაყოფე ხე, უნდა გადაკაფულ ტოტებს თავებზე ფისი წაესვას\*). გარდა ამისა კარგი იქნება რომ ხეს, სანამ იგი ახალი ფესვებით გაიმარებს თავს, ცხელ მზიან დღეში ქილობები გადაეფაროს ან განსნილი წყალში ცარცი შეესხუროს, რადგან როცა ტოტებს ზემოდან თეთრი გარ-

\*) ხეხილებზე სანმარი ფისები იხილე „მონავალი“, № გვერდი.

სი გადაეკვრის ცარცისა (ცარცი არა დნება წყალში), მზე ისე რიგად ველარ ჩაატანს ტოტების კანს და ხე არ შეწუხდება.

ამ გვარ შემთხვევაში ხეს უბრალო წყლის შესხურებითაც აგრილებენ დღეში რამდენჯერმე და მცენარეც იოლს მიდის ამით. ამას გარდა ხის ძირთან ნიადაგს უნდა მუდამ ნესტი ჰქონდეს

ულევად, რისთვისაც ხე უნდა დრო-გამოშვებით ირწყუებოდეს და ნარწყავზედ ბზე ან ხის ნახერხი ან სასუქი ჩაეყაროს ნესტის შესანახავად. სასუსუქი ხეს ზედ ძირზედ არ უნდა ჰქონდეს მიყრილი-მიტკებნილი თორემ ხეს კანი გამოეყელება და ევნება.

ვ. ახოშვილი

## ფრინველების მოვლა-მოუხეზა

### რა უნდა ვაჭაამოთ ფრინველს

ფრინველებს აძლევენ საკმელად ხორბალს, აფშრუკულ ქატოს, ცომს, სხვადასხვა ბოსტნეულს, ნასუფრალს, სანოვავის მონარჩენს, კვერცხის ნაჭუქს, ხორცს, ხაჭოს, დოს, მაწონს და სხვა, ერთი სიტყვით, რაცრამ საკმელი მოეპოვებათ ოჯახში.

ფრინველს საკმელი, რასაკვირველია, არ უნდა აკლდეს, მაგრამ მოკარბებით კმევა უფრო უარესია. თუ ფრინველს საკმელით გული აქვს მოსუყებულის, ძალზე სუქდება, ეს სიმსუქნე ხორცს ედება გარედან და თვით ხორცი კი უფრო იფიტება და გემოც ეკარგება. ფრინველის ხორცში სიმსუქნე კუნთების თითოეულ ქსელს უნდა ჩასდევდეს რომ გემრიელიც იყოს ხორცი და ნაზიც.

ფრინველის კმევა დღეში ორჯერ — დილით და საღამო ხანზე — ჩვენში სრულიად კმარობს, ხოლო დედლებს, რომელნიც კვერცხის დებაში არიან, უფრო მეტი საკმელი უნდა მიეცეთ ვიდრე მაშინ როცა მოიღვეიან. საკეცი უნდა დაეყაროს დაგილ, გასუფთავებულ ქვიშა-მოყრილ ადგილზე. თუ წვიმს საკმელი საჩეხის ქვეშ სიმშრალეში უნდა მიეცეთ და არა სველ მინ-

დორზე გადაეყაროთ. ისევ დააკლდეს საკმელი სჯობია, ვიდრე მეტი მოუვიდეს.

**წიწილების საკმელი.** ეხლა ყველა გამოცდილმა მომვლელმა იცის რომ წიწილებს პირველ 24 — 36 საათის განმავლობაში გამოჩეკის შემდეგ არაფერი საკმელი არ უნდა მიეცეთ. პირველ კმევაზე სამზღვარ-გარეთელები წიწილებს აქმევენ ხელოვნურად მომზადებულ საკმელს ეგრედ წოდებულ „სპრატს-პატენტს,“ \*) ხოლო მეორე — მესამე — მეოთხე დღეს კი ჩვეულებრივ საკმელს: დაკეპილს მაგრად მოხარშულ კვერცხს არეულს პურის ნაწილებთან, შემდეგ ხორბლის ფაფას, აგრედვე დარჩეული შვრიისას, ბრინჯისას, დაფხვილ კვერცხის ნაჭუქს, დაკეპილ ხორცს, წიწმატს, ახალი ხახვის მწვანე ფოჩს; ხორბლეულებიდან მარტო ფეტვს და როცა ცივა მაშინ მსხვილად დაროშილ სიმინდს. სასმელად აძ-

\*) „სპრატს-პატენტი“ ორ ნაირია: ერთში სხვადასხვა ფქვილებია არეული და მეორეში სხვადასხვა არაფქვილეული. რა საკმელები ან რა ზომით უნდა აერივნენ რომ „სპრატს-პატენტი“ გაკეთდეს, ეს გერმანელ გამკეთებლის საიდუმლოებას შეადგენს დღემდე.

ლევან პირველ ორი კვირის განმავლობაში აუდუღარ თბილ რძეს.

ცხრა კვირის შემდეგ წიწილებს მიეცემათ იგივე საჭმელი რაც დიდ ქათმებს. მშრალი ბრინჯის მიცემა საჭმელად 2—3 თვეზე ადრე არ ვარგა.

**ბატის ჭუკების საჭმელი.** გამოიჩეკებიან თუ არა ბატის ჭუკები საჭმელად უნდა მიეცეს მათ მსხვილად დაფქული ქერი ქატოში არეული და რძეში დამბალი და მოხარშული. შეიძლება მიეცეთ აგრედვე მაწონში არეული მაგრად მოხარშული კვერცხი წმინდად დაკეპილი ზედ სალათით, ქარხლით, ან პურის ნამტვრევები რძეში მოხარშული.

სამი-ოთხი დღის შემდეგ გამოიჩეკისა ბატის წიწილები გარეთ ეზოში შეიძლება გაუშვათ, მხოლოდ თვალყური კი უნდა გვექიროს რომ ცხელმა მზემ ან წვიმამ და სიცივემ არ აწყინოთ. ცოტა რა წამოიზრდებიან შეიძლება მინდორში და წყალშიაც გაიშვინენ საძოვრად და სასეირნოდ. როდესაც ბუმბულში შევლენ საჭმელი მეტი უნდა მიეცეთ: მსხვილად დაფქული და ქერქი შვრიის ხორბალი, თორემ უამისოდ დასუსტდებიან და შეიძლება ავად დახდნენ. აგრეთივე კარგი ჭმევა უნდა მათ როცა ფრთები ეზრდებათ.

**საკლავი ფრინველის ჭმევა.** საკლავი ფრინველის ჭმევა და გასუქება რე ადარ ესმით ეხლა როგორც წინა დიკო — მიეცი და მიუმატე საჭმელი რომ თავსაყრელი ჰქონდესო, არამედ დღეს ამის ცოდნა მთელ მეცნიერებს შეადგენს.

ფრინველს ასუქებენ საკლავად თავისუფლად გაშვებულს ან დამწყვდეულს, ხოლო საჭმლის თავის დროზე

მიცემით გარდაწყვეტილი ზომით ან რამდენსაც თითონ ფრინველი შესჯამს ან და ძალათი კმევით.

ფრინველს ძალათი სჩრიან პირში განგებ ამისათვის გაკეთებულ მაშინებით, რომელთაც სახელად „უაკის“ ან „გავეზ მარტენის“ ძაბრებს უწოდებენ, ხელოვნურად მომზადებულ ცომის პატარა გუნდებს რგვლად დასორსლებულებს. ვისაც ფრინველი ცოტა ჰყავს, ამ მაშინების შეძენა ძვირად დაუჯდება, მას ხელითაც შეუძლიან ძალათი აქამოს ფრინველს, ხოლო იმათთვის კი, ვისაც დიდძალი ფრინველი ჰყავთ და აღებმიცემობას ეწევიან, საბაზროთ ასუქებენ ფრინველს ბლომათ, „გავეზ მარტენის“ ძაბრის შეძენა დიდ სარგებლობას მოუტანთ, რადგან ამ აპარატის შემწეობით ერთი საათის განმავლობაში 200 ფრინველს შეიძლება ექამოს ძალათი მათთვის გადადებული საჭმელი.

საკლავად გასუქება თავისუფლად გაშვებული ფრინველისა უფრო მეტხანს თხოულობს, ვიდრე დამწყვდეულისა, და უფრო ძვირადაც ჯდება. დამწყვდეული ფრინველი მოკლებული დიდ მოძრაობას უფრო მალე სუქდება. ამიტომ ვისაც ფრინველის დასამწყვდევად შესაფერი გალია არა აქვს, მან ეს მაინც უნდა ილონოს რომ გასასუქებელ ფრინველებს გასადევარი პატარა მისცეს და საქათმეც ვიწრო და მიზნელებული ჰქონდეს. როცა კარგად გაძდება ფრინველი, ამ პატარა ვიწრო საქათმეში ჰამის შემდეგ მალე მიჯდება სადმე კუთხეში და მიეცემა ძილს, რაც ხელს შეუწყობს მალე გასუქებას.

გასასუქებელი ფრინველები პატარაობაშივე უნდა გაშორდნენ დედოფ-

ბი მამლებსაგან და ცალკე იხდნენ, ისე რომ არც ხედავდნენ და არც ხმა ესმოდეთ ერთმანეთისა. ეს აუცილებელი პირობაა, რომელიც, სასტიკად უნდა სრულდებოდეს, თუ გვინდა რომ საკლავი ფრინველი მშვენიერი საქმელი გამოვიდეს.

თუ ასე მოუვლით და გავასუქებთ საკლავ ფრინველს მაშინ ყვერულების ყოლა სრულიად საჭირო აღარ იქნება და აღარც სასარგებლო იქნება მათი ყოლა, რადგან ფრინველი უამისოდაც გასუქდება არა ნაკლებ და თანაც აღარც იმდენი დაიხოცება, რამდენიც დაყვერვაში იხოცება ხოლმე. პატარა ვარიების დასუქება უფრო ადვილია, ვიდრე დაბერებული ქათმებისა, რომელნიც არცა ღირან გასასუქებლად.

**როდის უნდა დაიწყოს საკლავი ფრინველის გასუქება.** დრო საკლავი ფრინველის გასასუქებლად დამწყვედვისა მაშინ არის კარგი, როცა ფრინველი 5—7 თვისა გახდება, თუმცა შეიძლება 2—3 თვისაც დავამწყვედიოთ და გავასუქოთ.

საკლავი ფრინველის დასუქება ზოგან დიდ სარგებლობას აძლევს პატრონს. გასუქებას უნდებიან 2—3 კვირა. ამაზე მეტხანს ჭმევას აზრი არ ექნება, რადგან რასაც ამ 2—3 კვირაში მოიმატებს ფრინველი, იმაზე მეტი მას აღარ მიემატება და ხანგრძლივმა ძალათი ჭმევამ შეიძლება კიდევაც მოკლას ფრინველი. მაინცდამაინც უნდა ვიცოდეთ რომ ფრინველი ძალათი ჭმევაში შემდეგ რაოდენიმე ხნისა კი აღარ მატულობს და ივსება ხორციით, პირიქით ხდება და აკლდება წონაში.

ძალათი ჭმევის დროს თუ რომელიმე ფრინველს ავადმყოფობა დაეტყუა, მა-

შინვე უნდა გამოუშვათ. ესეთი ქათამი აღარც შემდეგში ივარგებს გასასუქებლად.

**რა უნდა ვაჭამოთ გასასუქებლად დამწყვედულ ქათმებს.** საუკეთესო საქმელი ამ შემთხვევაში როგორც არა ერთხელ უცდიათ არის შვრიას ხორბალი, პურის ხორბალი, სიმინდი ცოტა, ძროხის ერბო, რძე, სიმსუქნე, ცხვრის ღუმე, ღორის ქონი, ქატო, ცოტა მწვანილეულობა, ხორცი და ქიანკველის კვერცხი. უკანასკნელ ორსამ დღეში როცა გასუქება დამთავრებაშია, ფრინველს სხვადასხვა სურნელოვან საქმელებს აძლევენ, რომ მის ხორცს შესაფერი სასიამოვნო სუნი მიეცეს. სიმსუქნის ბლომად ჭმევას უნდა ერიდნეთ. დო და მაწონი ამგვარ ქათმებს სრულებით არ მიეცემათ. საქმელი უნდა ეძლეოდეთ ერთ-ერთი: ან მხოლოდ რბილი და არა თხელი, ან მარტო თხელი.

საფრანგეთში საკლავ ქათმებს ერთრიგად ასუქებენ, ინგლისში სხვანაირად, გერმანიაში სხვანაირად.

**ფრანგული წესი.** საფრანგეთში დასასუქებელ ფრინველებს დამწყვედვის შემდეგ პირველ კვირაში აჭმევენ ძალათ თხილის ოდენად დასორსლებულ ცომს მოზელილს რძეში ქერის, სიმინდის და უგრეხელას ფქვილებისაგან, რომელთაც ერთად გადაურევენ ხოლმე და ცოტა დანაყილ ნახშირს ჩააჭანენ. მეორე კვირა რო დადგება ამ მასალას კიდევ მიუმატებენ დაკვიპილ ხორცს და ცხვრის ღუმას ან ქონს, ან რომელიმე მცენარისაგან გამოხდილ ზეთს, ან უმარილო ერბოს ძროხისას. ჭმევის დროს ამ დასორსლებულ ცომს დაა-

სველებენ წყალში და ისე ჩასტენავენ საყლაპავში. ამასთანავე ფრინველს უნდა გვერდით ქვიშა ედგეს აულებელი.

სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში ჩასაყლაპ ცომს უმატებენ კიდევ ღვინის კაკრას დაკებილს წვრილად, კამის თესლს, ანისულს, დარიჩინს და ცოტა შაქარს გახსნილს რძეში, რომელშიაც ცომსა ზელავენ.

ფრინველს აკმევენ დღეში სამჯერ თითო ჯერზე 8—10 გუნდას. ქამის დროს ფრინველს ჩიჩახვი უნდა გაეშინჯოს ხოლმე და თუ საესეა, თბილი რძე ან ზეთუქვრიტეს ზეთი დაელევინოს ორიოდე კოვზი და ხელით ჩაეზილოს ჩიჩახვი გარედან ზევიდან ქვევით, რომ თუ რამ ჩარჩა შიგ ჩავიდეს კუჭში.

**ინგლისური წესი.** ინგლისელები ამზადებენ რძეში მოზეილ ცომს შვრიის ან ქერის ფქვილიდან, რომელსაც ურევვენ გადამდნარ ქონს ან მოხარულ სიმსუქნეს და ცოტა შაქარს. ამ ცომს დაუდგამენ ფრინველს საკმელად დღეში სამჯერ და თანაც გვერდით უდგამენ ქვიშას. ფრინველი ან გალიაში ჰყავთ დამწყვდეული როგორც საფრანგეთში, ან ვიწრო საქათმეში, სადაც 15—20 ქათამია ერთად. ზემოხსენებულ ცომის მაგივრად ინგლისელები ხან ძროხის ხორცი სანახად სიმსუქნეს და ან რძეში განთქვეფილ შვრიის, ქერის ან უგრეხელის ფქვილს აძლევენ ქათმებს. საკმლის შემდეგ ყოველ ჯერზე ქათამს ეძლევა დასალევით სუფთა წყალი რამდენიც უნდა. ზოგჯერ ამ საკმელს უმატებენ დაკებულ მწვანე ხახვს და წიწმატს. ინგლისშიაც ქათმების გასუქებას უნდებია ორ ნახევარი—სამი კვირა.

**ნეპენცური წესი** ნემეცები ქათმებს არ ამწყვდევენ გასასუქებლად. უპირველეს საკმელად სთვლიან მოხარულ კართოფილს აზელილს ქატოსთან, ქერის, შვრიის ან პურის ხორბლის ფქვილთან, რომელსაც ზედ დააკეპავენ მწვანე ხახვის ფოჩს, წიწმატს და ხორცზე ახილ სიმსუქნეს, ან ლუდში დამბალ თეთრ პურს, რძეში გაჟენთილ პურის ხორბალს, ქერის ან სიმინდის ფქვილს რძეში მოზეილს შიგ ჩაყოლილი ღორის ქონით ან ძროხის ხორცის სიმსუქნით. შაქრის არევა ფრინველების საკმელში აქ ძალიან იშვიათად იციან. წყალი და ქვიშა-კენჭი აულებელი უდგათ ქათმებს გვერდით.

საუკეთესო დამწყვდევის დრო ქათმების გასასუქებლად მაშინა დგება, როცა სიცოცხეები დაიწყობა, და უიმისოდაც ფრინველი მეტ წილად საქათმეში ზის უღარობისა გამო. კარგ დარში დამწყვდეული ფრინველი ნაღვლიანობას, ამიტომ საკმელი მასზედ ისე ველარ გავლენობს როგორც სასურველია.

**ინდოურების** დასუქება ისევე ხდება, როგორც ქათმებისა: საკმელსაც იგივეს აძლევენ რასაც ქათმებს. საფრანგეთში ინდოურებს თითო ჯერზე 3—18 გუნდამდე ჩააყლაპებენ ხოლმე ცომისას. აკმევენ აგრედვე კაკალს, წაბლს, პურის ცომს, რომელსაც შიგ ფეტვსა და რძეს ურევვენ. წყალი, ქვიშა-კენჭები, ხაკა ხის ნახშირისა ულევით ულაგიათ ინდოურებს გვერდით როცა საკმელს აძლევენ.

**ბატი** გასასუქებლად ვიწრო გალიაში უნდა ჩაისვას და საკმელად ეძლეოდეს მაგარი ცომი შვრიის ან სიმინდის ფქვილისაგან მოზეილილი, რომ

## მუღინის ბაღა გომბორში და სეტყვის ამცდენი ბოძები

მელსაც ხის ნახშირის ხაკა უნდა აერიოს შიგ. ქვიშა-ნახშირი, დანაყოლი აგური იქვე უნდა ედგეთ ბატებს საჭმლის გეჯასთან. ბოლოს და ბოლოს ბატი ველარ მოერევა მიზომილ საჭმელს და გაუთავებელს დაუწყებს თავის განებებას. ამ შემთხვევაში საჭმელი ცოტათი უნდა შეთხელდეს და ძალათი ჩაესხას პირში, სანამ მიცემულ საჭმელს მთლად გაათავებს. ბატებს აკმევენ დღეში სამჯერ, ყოველ ჯერზე საჭმელთან ერთად აძლევენ დაფქულ სურმას კოვზის ერთ მეოთხედს. სურმის ზედმოკმედებით ბატს ღვიძლი უდიდება. ბატი სუქდება 20—25 დღის განმავლობაში.

**იხვებს** გასასუქებლად პატარა ეზოში ან მოღობილ ბაკში ამწყვდევენ და დღეში ხუთ ხელს აკმევენ.

ქერის ფქვილი, შვრიის ხორბალი, დაკეპილი ხორცი, ხორცზე ახდილი სიმსუქნე იზილება ერთად წყალში, ზედ ამას უმატებენ ნაღებ მოხდილ რძეს, ცოტა მარილს და საჭმელი მზად არის. კვრაში ერთხელ იხვებს უნდა ჩენჩოიანი შვრია დაეყაროთ საკეკად. იხვები სუქდებიან 12—14 დღის განმავლობაში.

ძალად კმევა იხვებისა არა ხერხდება.

**როდის უნდა დაიკლას ფრინველი.** მზად არის თუ არა ფრინველი დასაკლავად ამას გავარჯიშებული ადამიანი

ხელითაც შეატყობს თუ არა და სწონავენ და ისე იგებენ. როცა მხრებსა და კისერ შუა ჩასუქდება ფრინველი და აგრედვე კუკუხოები რბოლად ამოვსება, მაშინ ფრინველი დასაკლავად მზად არის.

14 საათის განმავლობაში დაკვლის წინ ფრინველს წყალი უნდა უხვად მიეცეს, ხოლო საჭმელი კი არაერთად, რომ ნაწლავები მთლად გამოეწმინდოს.

ჩვენში და ბევრგან სხვაგანაც ფრინველს ჰკლავენ დანით, თავს მოსჭრიან ხოლმე. ინგლისში სხვანაირად იქცევიან: დააწვენენ ქათამს ან ინდოურს ისე რომ ზურგი ზემოთ ჰქონდეს, წაუჭიჩავენ წინ კისერს და მერე უეცრად მოუტრიალებენ თავს უკან. თავი შორდება ტანს და ფრინველი სწრაფლ კვდება.

ბატსა და იხვს დაკვლის წინ 12—15 საათით დაამშვევენ და შემდეგ ჰკლავენ დანით როგორც ჩვენში. დაკლული ფრინველი უნდა დაიჭიროთ თავდაყირა რომ სისხლი ჩამოიწკრიტოს და მერე სანამ გაცივდება გაიბტყენას. ჯერ ისევ თბილ სხეულს ფრინველისას ბუმბული ადვილად და წმინდათ შორდება, მერე კი როცა გაცივდება ძნელად, ხან კანიც კი აეგლიჯება ხოლმე გაბტყენაში, რაც ძრიელ აუშნოებს დაკლულ ფრინველს.

### ვ. ქათამაძე

## მუღინის ბაღი გომბორში და სეტყვის ამცდენი ბოძები

თითონ ბ. მუღინს, პატრონს დიდი ხილის ბაღისას გომბორზე, როგორც მან პირადად გვიამბო, თავისთავად არა გამოუგონიარა სეტყვის წინააღმდეგ, ხოლო უსარგებლნია ეურ. „ПЛОДОВОДСТВО“-ში დაბეჭდილი შემდე-

გი კორესპონდენციებით (იხ. „ПЛОДОВОДСТВО“ №№ 7 და 9 წარსული 1909 წ. და № 5 მდგომარე 1910 წლისა):

I კავკასიდან. სეტყვის ამცდენები. რამდენადაც მე ვიცი—სწერს კორეს-

პოდენტი, —ჯერ-ჯერობით არავითარი საშუალება არ არის გამოგონილი წინააღმდეგ სეტყვისა, რომელსაც უზომო ზარალი მოაქვს მეტადრე კავკასიაში. ერთ ჩემ ნაცნობს კი, რომელიც ექიმ ვისოცკისთან არის მებაღეთ აგერ 20 წელიწადია, 5 ვერსის მანძილზე კავკავიდან 12 წლის წინათ 50-მდე ბოძი დაუდგამს ბალის გარშემო სეტყვის ასაცდენად.

ჯერ პირველი 7 წლის განმავლობაში ამ ბოძებზე დაგრებილი ნამჯის ულოები ჰქონდა დახვეული მალლიდან დაბლა დედამიწამდე და ამ ულოების ბოლოები მიწაში იყო ჩაშვებულნი 1—2 არშინის სიღრმეზე. რადგან ულოებს ყოველ წლივ სჭირდებოდა გამოცვლა, მათ მაგიერ მებაღეს ამ 8 წლის წინ ბოძების თავზე ზემოდან წითელი სპილენძის ხუფი გაუკეთებია ნიკელით დაფენილი და აქედან დაბლა რკინის მავთული ჩაუტარებია ბოძზე მიკრული და წვერი მავთულისა ჩაუფლავს მიწაში 1—2 არშინის სიღრმეზე.

წინად ისე წელიწადი არ გავიდოდა თურმე რომ ვისოცკის ბალისათვის და სხვა ახლო მდებარე ბაღებისათვისაც სეტყვას არ დაეკრა. მას აქეთ კი რაც ეს ბოძები დაიდგა აგერ 15 წელიწადია, სეტყვას ეს ადგილი აღარც ერთხელ არ უზარალებია. მართალია ამ ხნის განმავლობაში აქაც მოსულა სეტყვა რამდენჯერმე, მაგრამ წვრილი, თხელი და ხან მოკლე ისე რომ არაფერი ზარალი არ მიუყენებია სრულებით. ამა წლის (1909 წ.) 8 მაისს მოსულმა მსხვილმა სეტყვამ მიწისპირად გაასწორა ვისოცკის ბალის მეზობლად ყველაფერი და ამ ბაღს კი სეტყვა თითქმის არ დასცემია: 1906 წელსაც ასე მოხდა. თვით

ჩემ ნაცნობ მებაღესაც და მის მეზობლებსაც არა ერთხელ უნახავთ თავიანთი თვალთ, როგორ დაქსაქსულან ვისოცკის ბალისაკენ წამოსული სეტყვის ღრუბლები, როგორ სცდენიან ამ ბაღს ეს ღრუბლები და გარშემო ბაღები კი დაუსეტყვია. ნახებით მებაღეც და მისი მეზობლებიც და აგრედვე მეც დარწმუნებულები ვართ რომ ეს უბრალო საშუალება სწორედ ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს სეტყვის წინააღმდეგ. აგერ 12 წელიწადია აქვე ახლო კამბელევში გრაფი უვაროვის ბაღების ზედამხედველი ვარ, ყოველ წლივ მივდივარ ბ. ვისოცკის ბაღში და არც ერთხელ არ მინახავს იქ სეტყვისაგან რამე გაუქმებული. რადგან გრაფი უვაროვის ბაღი მთელი 60 დესეტინაა და ამის გარშემო სეტყვის ამცდენი ბოძების ჩაყრა მეტად ძვირად დაჯდებოდა მე ეს საშუალება ვერ გავბედე მეცადნა. თერგის საოლქო აგრონომს და ლესნიჩს კი ვუამბე ყველაფერი და მათ ექვის თვალთ შეხედეს ამ საშუალებას, ხოლო ერთმა ნაცნობმა ტენნიკმა კი სრული ნდობა გამოაცხადა ამ საშუალების შესახებაც და ასეთი ბოძების ატმოსფერაზე ზედგავლენის შესახებაც.

ვისაც სურს დაწვრილებითი ცნობები მიიღოს შეუძლიან მიმართონ ამ საშუალების გამომგონს—ექიმ ვისოცკის მებაღეს და მეზობლად მდებარე მეორე ბალის პატრონს ვ. კობელევს.

კამბელევში გრაფ. ფ. უვაროვის ბაღების ზედამხედველი

ა. ზატიაუკინი.

II „კავკავიდან“ დასამატებლად იმისა, რაზედაც ვწერდი ჩემს წიგრილში, რომ-

მელიც დასტამბულია ჟურნ. „ПЛОДОВОДСТВО“-ს № 7, 649 გვერდზე, საჭიროდ მიმაჩნია შეგატყობინოთ რომ 21 თბათვეს ამ ზაფხულს კავკავში და მის მიდამოებში საშინელი ქარიშხალი და კაკლის ოდენა სეტყვა იყო, უთვალავი შუშა დაიტვრა ფანჯრებში სეტყვისაგან; დაიხოცა საქონელი, განადგურდა ყანები და ბაღები, ზოგან სრულებით აღარა გადარჩა-რა მოსავლიდან.

სეტყვამ ექიმ ვისოცკის ბაღსაც დაჰკრა ხოლო მთელ ბაღს კი არა მართო მის ცალ მხარეს, საიდანაც სეტყვის ღრუბლები მომდინარეობდნენ. მეორე მხრით მდებარე მეზობლად ბაღებში სეტყვა სრულებით არ ყოფილა, რადგან როცა სეტყვის ღრუბელი მოახლოვდა ვისოცკის ბაღამდე შემდეგ გვზად გაბრუნდა აქედან აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ ხოლოკი აღარ დაქსაქსულა როგორც წინად ხდებოდა ხოლომე, ისე დაუშლელი წავიდა შეკუმშული.“

**ა ზატიაჟკინი**

**III სეტყვის ამცდენი საშუალება**  
 („Садъ огородъ и бахча,“ № 2--1910 წ.)  
 ჟურნ., „Comptes Rendus“ ბ-ნი **ბოტამპი** იწერება, რომ **სან-ჟულენი და არ** (დეპარტამენტი ვიენ) მუდამ წელს ისეტყვებოდა და ბაღ-ვენახები მიწასთან სწორდებოდაო. 1899 წელს ბოტამპს აუშენებია აქ მაღალი სამრეკლო და ზედ მების ამცდენი გაუმართავს. მას შემდეგ თურმე სეტყვა სრულებით აღარ მოდის იქ და ეს ადგილი მშვენიერ ყუდროს წარმოადგენს როდესაც გარშემო მიდამოებში საშინელი ქექა-ქუხილი ასტყდებოდა ხოლომე. მთელი 10 წლის განმავლობაში მხო-

ლოდ ერთხელ მოვიდა აქ პატარა სეტყვა და ისიც თითქმის ერთი კილომეტრის (415 საყენია დაახლოვებით) სიშორეზე სამრეკლოდან, სადაც მების ამცდენია გამართული. ბოტამპი აპირებს ეს უბრალო საშუალება სეტყვის წინააღმდეგ სხვადასხვა ადგილებში გამოსცადოს და ისე დარწმუნდეს მის მნიშვნელობაში.“

„წავიკითხე რა ეს კორესპონდენციები, — სთქვა ბ. მულინმა — „ვიფიქრე მოდი ხომ ძვირად არ დაჯდება ყველა ეს და მეც ვცდი. ჩავაყრვეინე გამბორის ბაღის გარშემო კონწოხებზე 1—2 არშინის სიღრმეზე მაღალი 20 არშინიანი ბოძები 150 საყენის მოშორებით ერთიერთმანეთიდან და მივამაგრებინე ზედ რკინის მავთული, რომლის გამწვეტებული თავი ბოძ მაღლა დავაჭერინე ნახევარ არშინზე და მეორე გაპრტყელებული თავი კიდე 1—2 არშინის სიღრმეზე ჩავაფლენინე მიწაში. ბოძები მე წლეულ ჩავყარე და აი ეს ზაფხული ისე გავიდა რომ სეტყვა არ ყოფილა და მშვენიერი მოსავალი მაქვს. ამ გარემოებამ ისე წამაქეზა რომ ეხლა იქ ვიყავი და მებაღეებს ეუთხარი, რომ ბოძები კიდევ მიუმატონ. ჩემი ბაღის ცალ მხარეზე ერთი დღეცა, რუსიელებისაგანა მაქვს ნაყიდი ეს ადგილი, — ხალხი ამ დღეს სეტყვის ბუდეთა სთვლის, ამბობენ აქ იბადება სეტყვა პირველადაო, ამ დღესაკენ დადგმული ბოძი ვნახე ეხლა რო ვიყავი და სრულიად ჩამწვარი-ჩამავეებული დამიხვდა, აშკარაა ატმოსფერის ელექტრონს უდენია ბლომად ამ ბოძით მიწაში და ამას დაუწვამს“ — სთქვა ბ. მულინმა.



ურთგო არ იქნება სცადონ ეს უბრალო საშუალება ვისაც შეუძლიან. ყოველ ექვ გარეშემ რომ ამგვარად აშვებული მაღლა ჰაერში რკინის მავთულით ატმოსფერის ელექტრონი მაღლიდან დედამიწაში გადადის, ხოლო

რამდენად დაეკავშირება ეს მოვლენა სეტყვის ღრუბლების გაფანტვას, ამაზე მარტო კარგად მოწყობილი ცდა და დაკვირვება მოგვცემს გადაწყვეტილ პასუხს.

ვ. რცხილაძე

## როგორ იზოვნოს სოფ. მ. მხსოვრებლავა ფული სამკურნალო-საოჯახო საჭიროებისათვის

კვირა დღეა. სოფელ მ. სამმართველოს წინ სხედან გლეხები და საუბრობენ ამინდზე, მოსავალზე და სხ. აქვე სდგას სოფლის მასწავლებელი პეტრე და გულდასმით უსმენს გლეხებს.

— როგორც სჩანს წლევანდელი მოსავალიც ვერ იქნება კარგი, სთქვა ერთმა ხანში შესულმა გლეხმა.

— აბა საიდან იქნება კარგი მოსავალი, როცა აგერ მთელი თვეა ცასნამი არ გავარდნია, უპასუხა მეორემ.

— პურიც გამოგველია და მალე საქმელიც აღარ გვექნება; პურის ყიდვა მოგვიხდება, სთქვა ისევ პირველმა გლეხმა.

— შენ ფული სთქვი, თორემ იყიდი კი! ჩაერთა ლაპარაკში მესამე.

— აბა რას იზამ, გაქვს, თუ არა, უნდა იზოვნო და პური იყიდო. მაშინ შემშილით ხომ არ ამოხოცამ ცოლშვილს, წამოაძახეს აქეთ-იქიდან.

— მერე ვინ მოგვცემთ ფულს? ჰკითხა ნაღვლიანათ პეტრემ.

— რატომ არ მოგვცემენ, შე კაი კაცი, სარგებლის საქმე არ არის? ვისაც სარგებელს მივცემ, ყველა სიხარულით მომცემს ფულს. ან არა და სარგებელიც არ გინდა: აი არსუანთ მრსე იძლევა ფულს უსარგებლოთ, მხოლოდ კალოობას პურს ან ბზეს წაი-

ღებს, უპასუხა პეტრეს გლეხმა, რომელიც მის გვერდით იდგა.

— არა, ძმაო, ესეთი ხელის გამართვა სახირო არ არის გლეხისთვის, მიუბრუნდა პეტრე გლეხს. — შენ გონია მოსე სარგებელს არ იღებს, იმას კი არ ანგარიშობ, რომ კალოობას ჩალის ფასათ იღებს პურს და ან შემოდგომაზე ღვინოს; ამას გარდა ისიც იცი რომ საწყაო დიდი აქვს. აი შარშან არ იყო ყოჩონაანთ ტუხამ ისეხა მოსედან ერთი თუმანი და კალოობას ხუთა კოდი პური მიიწყა. პურის გარდა რამდენიმე ბარდნა ბზეც გამოართვა.

— ერთი დღეც მკაში უშველა ტუხამ სარგებელში, დაუმატა ახალგაზდა დაკვირვებულმა გლეხმა ნიკომ, რომელიც გულდასმით უსმენდა პეტრეს.

— ეგეც მეტი. აბა ახლა ვიანგარიშოთ, რამდენი სარგებელი მოსდის მოსეს ერთ თუმანში. ჯერ ხუთი კოდი პური, რომელიც ხუთ მანეთობაზე აიწყა და რომელსაც ეხლა ჩვენზედვე ჰყიდის სამათა და ათ შაურათ—იქნება 17 მანეთი 50 კაპ.; ბზეც ერთი მანეთი და ათი შაური; ერთი მანეთიც ის, რომ ტუხამ ერთი დღე უშველა მკაში; ახლა ერთი აბაზიც „პატივისცემაში“ დაენარჯებოდა. სულ გამო-



ვა 20 მან. და 20 კაპ. მაშასადამე, მოსემ თუმცა სარგებელი არ გამოართვა ტუხას, მაგრამ ერთი ორად კი აიღო თავისი ფული.

— მერმე ისიც სამ-ოთხ თვეში, შენიშნა ახალგაზდა გლეხმა.

— ეხ, გლეხი კაცი საწვალეზობად არის გაჩენილი ქვეყანაზე! ნაღვლიანად წამოიძახეს აქეთ-იქიდან.— ჩვენ რომ მოსესთანა მოვახშეები არ გვაწვნივ კისერზე, კიდევ არა გვიშავდარა.

აქ ყველამ სათითაოდ დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ თავგადასავალზე, თუ ვის ვისი ემართა, რამდენი მისცა სარგებელი და სხვა.

— ნეტავი ყოჩიანთ ტუხას, რომ ისე ადვილად მოუშორებია ვალი! სთქვა ოხვრით ერთმა გლეხმა: მე კი, გამიწყრა ღმერთი, ვერ მოვიშორე ი ვაჭრის ფული.

— რომელი ვაჭრის ფული, ჰკითხა პეტრემ.

— აი ი ქალაქელი ვაჭრისა. აღარ გახსოვს, შენ თვითონ არ დაგვიწერე ხელწერილი... გამიწყრა ღმერთი, შარშანწინ გაზაფხულზე გუთანში მომიკვდა ერთი ხარი. ცალი ხარით აბა რას გავაწყობდი ვისესზე ექვსი თუმანი იმ ვაჭრიდან და ვიყიდე ხარი, მაგრამ ვალი კი ველარ გადავიხადე. ყოველ ზაფხულს წამომივლის, თითო ურემ ბზეს მართმევს სარგებელში, თავნს კი არა აკლდება რა. ახლა შემოუთვლია უეჭველად ჩამომიტანოს ფული სარგებლიანათ, თორემ „პრიტავს“ თავზე დავაყენებ და „ტორღში“ გავუყიდი, რაც კი რამ აბადიაო.

— ახლა ფეიქრიანთ სამსონას ამბავს კი არ იკითხამთ! აი იმას მოუვიდა ცუდი საქმე, დაიწყო ნიკომ: იმ ბეჩავს მახტიანთ რძლისა ემართა ხუთი თუ-

მანი. აგერ იქნება თითქმის თხუთმეტი წელიწადი თავისი დედის რიგისთვის ისესხა. წამოვიდა ახლა და ხუთი თუმანი სარგებლით თხუთმეტი თუმანი უნაგარიშა და ამ ფულში ჩამოართვა ვენახი. დარჩა საწყალი სამსონა უვენანოდ.

თითქმის ყველამ სათითაოდ სთქვეს თავიანთი და მეზობლების გაჭირვების წუთი, როგორ გაიმართეს ხელი ფულიანი ხალხისაგან და ყველას როგორ გამოეცაღნა „ვალი და ვახშის“ სიმძიმე. მიუხედავად ამისა, ზოგი მაინც მადლობლები იყვენ ამგვარ სესხისაც კი, როცა მოიგონებდნენ თავიანთ გაჭირვებას.

პეტრე გრძნობდა ამგვარ „ვახშის“ სიმძიმეს გლეხებისათვის. ის სცდილობდა, როგორმე ეშოვნა გლეხებისათვის თული სესხად შეღავათიანი სარგებლით გაჭირვების დროს და ამასთანავე ეს სესხი არ დარჩენილიყო სამუდამოდ გადაუხდელ ვალად. მან ერთხელ ვახშეთში ამოიკითხა, რომ ამა და ამ სოფელში არსდება სასოფლო ბანკი. ამასთანავე ვახშეთიდან ისიც ამოიკითხა, რომ ვისაც უნდა ამ სასოფლო ბანკის შესახებ ცნობების გაგება, უნდა შეეკითხოს წერილობით სახელმწიფო ბანკს, პირადათ მოსალაპარაკებლად კი მიმართოს სახელმწიფო ბანკშივე წვრილი კრედიტის ინსპექტორს, რომელიც მოვალეა აუხსნას დაწვრილებით ყველას, თუ როგორ უნდა გაიხსნას სასოფლო ბანკი ანუ საკრედიტო 1) ამხანაგობა.

ამ ამბავმა უფრო გაამხნევა პეტრე. მან გადასწყვიტა წასვლა ქალაქში და სასოფლო ბანკის შესახებ ცნობების გაგება. მანამდე კი მუდამ აძლევდა

1) სიტყვა „კრედიტი“ ნიშნავს „ნდობას.“



ხალხს იმედს, რომ ეშველება მათ გასაჭირს.

— შეიძლება ისე მოვაწყოთ საქმე, რომ აღარ მოგვიხდეს ფულის სასესხებლად მისვლა არც არსუანთ მოსესთან, არც ქალაქელ ვაჭართან და არც სხვასთან, ეუბნებოდა ხალხს პეტრე დაიმედებით.

— როგორ შეიძლება მაგის მოწყობა? „ხაზინა“ ხომ არ იპოვებ, რომ ფულის სესხებას გვაპირდები? ეკითხებოდნენ ვლექები.

— როგორ და ისე, რომ უნდა ბანკი გავხსნათ აქ და, როცა ფული დაგვჭირდება, გამოვიტანთ, ეუბნებოდა პეტრე.

— ბანკს ვილა მისცემს ფულს?

— მოიძებნებიან კეთილნი ხალხნი, რომელნიც მოგვცემენ ბანკისთვის ფულს. ერთი კაცი უღონოა ამ საქმისთვის, ბევრის გაკეთება არ შეუძლიან ერთს კაცს; მაგრამ რასაც ერთი კაცი ვერ შესძლებს, იმას ადვილად გააკეთებს რამდენიმე კაცი ერთად შეერთებული. ასევეა ამ საქმეშიაც. ერთს კაცს ფულს არაფერ არ ენდობა, გარდა მოვახშისა, მაგრამ, როცა ჩვენ შევერთდებით და შევადგენთ კავშირს, ამხანაგობას, მაშინ ფულის შოვნაც აღარ გავვიძნელებთ. როცა დავაარსებთ საკრედიტო ამხანაგობას, მაშინ სახელმწიფო ბანკი ჩვენც მოგვცემს სესხათ ფულს. მოგვცემს საკმარისად, არა ნაკლებ 4000 მანეთისა. ეს თანხა საკმარისია საქმის პირველად დაწყებისათვის. ამ სასოფლო ბანკიდან კიდევ ჩვენ გამოვიტანთ წვრილ-წვრილად ფულს გაჭირვების დროს. ასეთი ბანკი, როგორც გაზეთში ეწერა, უკვე ბევრგან არის.

— მერე როგორ მოვაგვაროთ ეს საქმე, ეკითხებოდნენ პეტრეს.

— სოფელ გ. მცხოვრებლები ასე მოქცეულან: შეგროვილან ერთად ოცდა ექვსი კაცი და დაუარსებიათ ამხანაგობა. დაუწერიათ არზა და სახელმწიფო ბანკისთვის გაუგზავნიათ. არზაში ჩაუწერიათ, რომ მათ ჰსურთ საკრედიტო ამხანაგობის დაარსება და ამიტომ უთხოვნიათ სახელმწიფო ბანკიდან სესხათ თანხა. როცა ნებართვა მიუღიათ, მაშინ ფულიც გაუგზავნია სახელმწიფო ბანკს.

— მაშ, პეტრე, ასეთი ბანკი არსებობს სოფელ გ?.

— ჰო, არსებობს!

— მერე ფული სახელმწიფო ბანკიდან მიუციათ?

— ოთხასი თუმანი მიუციათ.

— ეს ოთხასი თუმანი სამუდამოთ უჩუქებია სახელმწიფო ბანკს, თუ სესხად მიუცია?

— ფული მიუცია სესხად, უპასუხა პეტრემ. ეს ფული უნდა დაუბრუნონ ბანკს ცამეტი წლის განმავლობაში. ფულის შეტანას დაიწყებენ მეხუთე წლიდან. ხუთი წლის შემდეგ წვრილ-წვრილად შეიტანენ სახელმწიფო ბანკში.

— სახელმწიფო ბანკი სარგებელს ახდევინებს ფულში, თუ არა?

— როგორ არა ახდევინებს, მაგრამ ცოტას, თუმანში თვეში ერთს შაურს.

— მერე, როცა გადაიხდიან სახელმწიფო ბანკის ვალს, მათ ამხანაგობაში ხომ აღარაფერი აღარ დარჩებათ; მთლად ის თანხა, რომელიც სახელმწიფო ბანკიდან გამოუტანიათ, უკანვე რომ დაუბრუნონ მაშინ ხომ ფული აღარ დარჩება ამხანაგობაში. რა უნდა ჰქმნან მაშინ, უნდა დაჰკეტონ ამხანაგობა? ჰკითხეს პეტრეს.

— როგორც სჩანს ხელახლად ისესხებენ ფულს, წამოიძახა ვილაცამ.

— არა აღარ ისესხებენ მეორეთ, უპასუხა პეტრემ: ამხანაგობა იმ დრომდის შეაგროვებს საკუთარ თანხას.

— საიდან იშოვის საკუთარს თანხას?

— აი საიდან: სახელმწიფო ბანკი ასესხებს ამხანაგობას თუმანს შაურად. თუმანზე ერთი შაური ანუ 6 პროცენტი უეჭველათ უნდა გადაიხადოს.

— რასაკვირველია უნდა მისცეს სარგებელი, — ხაზინა არ აჩუქებს, წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ამხანაგობას ჰყავს ანგარიშის მწარმოებელი, რომელსაც აძლევს ჯამგირს. ამას გარდა ყიდულობენ წიგნებს, ქალაღს, იხდიან სახლის ქირას და სხ. ყველა ეს ხარჯია, რომელსაც დაფარვა უნდა. ამიტომ ამხანაგობამ დაადგინა: იმას, ვინც ფულს ისესხებს ამხანაგობიდან, გადახდეს თუმანზე შაური კი არა, არამედ უფრო მეტი, რომ შეეძლოს ამხანაგობას სარგებლის გასტუმრებაც. გადასწყვიტეს გადახდეს ფულის გამტანს თუმანზე თვეში ორი შაური ანუ 12 პროცენტი. ამგვარად ამხანაგობას ყოველ წლივ რჩება მოგება, რომლიდანაც აგროვებს საკუთარს თანხას.

— სახელმწიფო ბანკმა ხელწერილი ჩამოართვა თუ არა სოფელ გ. მცხოვრებლებს? ჰკითხეს პეტრეს გლეხებმა.

— როცა მათ მოუვიდათ გახსნის ნება, შეიყარნენ ერთად და ამოირჩიეს სამი კაცი, რომელნიც შეადგენენ ამხანაგობის გამგეობას. ეს სამი კაცი აწარმოებს ამხანაგობის საქმეებს. ამ სამ კაცსავე მიანდეს ფულის გამოტანა სახელმწიფო ბანკიდან. აი ამ სამ კაცს ჩამოართვა სახელმწიფო ბანკმა ხელწერილი, მაგრამ ამ ხელწერილით ვასუხს აგებს მარტო ეს სამი კაცი კი არა, არამედ მთელი ამხანაგობა.

— მოდი გამოვიტანოთ ფული და მერმე ნულარ დავუბრუნებთ, სთქვა ერთმა.

— მაგის მოხდენა არ შეიძლება. სახელმწიფო ბანკი ისე კი არ ურიგებს ფულს, როგორც მოხდება. ფულს აძლევს ამხანაგების ერთი-ერთმანეთის თავდებობით. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ თითო ამხანაგი უდგება თავდებობით მთელს ამხანაგობას და ყველა კიდევ ერთს მთელი თავისი ქონებით. აი ამის გამო ფული რომ გამოვიტანოთ სახელმწიფო ბანკიდან და მერმე აღარ დავუბრუნოთ, ბანკი თავისას არ დაჰკარგავს და თავდებობის ძალით სასამართლოთი გადაგახდევინებს ფულს.

— კარგი კი იქნება, რომ ჩვენც დავაარსოთ ასეთი ბანკი, წამოიძახეს ზოგიერთებმა.

— კარგი იქნება; სხვა არა იყოს რა, მოვახშეების ხვეწნა-მუდარა აღარ მოგვიხდება, სთქვეს სხვებმა.

დაიშალნენ. მაგრამ პეტრეს სიტყვები ბევრს ჩასწვდა გულში და ჩააფიქრა. „თუ მართალია, რაც პეტრემ გვითხრა, რატომ არ უნდა ვსცადოთ ბანკის გახსნა“, ფიქრობდნენ გლეხები. ყველაზე ძალიან ჩააფიქრა გლეხი ნიკო, რომელიც თუმცა ხნიანი არ იყო, მაგრამ საკმარისათ ჰქონდა გამოცდილი, თუ როგორი ძნელია ხელისგამართაობა ფულით გაჭირების დროს. თითქმის ყოველ წლივ უხდებოდა მას ფულის სესხვა მოვახშეებისაგან სხვადასხვა საქმისათვის: ხარის სასყიდლად, ურმისა და გუთნის გასამართავად, საბალახოს მისაცემად, სახლის ასაშენებლად და სხ. სად უნდა იშოვოს კაცმა ფული ყველა ამგვარ გაჭირებისთვის,



თუ არ მოვანშესთან! ნიკო დადიოდა პეტრესთან და ეკითხებოდა სოფელ გ. ბანკის შესახებ: როგორ დაარსეს მათ ბანკი და როგორ მიდის მათი საქმე. პეტრე უამბობდა ნიკოს, რაც კი იცოდა გაზეთებიდან საკრედიტო ამხანაგობის შესახებ. ერთი ამგვარ საუბრის შემდეგ პეტრემ და ნიკომ გადასწყვიტეს დაარსება საკრედიტო ამხანაგობისა. ამათ თავიანთი განზრახვა უთხრეს სხვა გლეხებსაც. ბევრი უნდობლად ეკიდებოდა მათ დაწყებას და გაიძახოდნენ, რომ ეს ტყუილი ოცნება არისო. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც იძახდნენ, რომ ეს ბანკი ვალს წამოგვადებს კისერზე და მთელი ჩვენი ქონების გაყიდვა მოგვიხდება ვალის გადასახდელათო.

უყურადღებოთ არ დასტოვეს ეს დაწყება მოვანშეებმაც. მათ გაიგეს, რომ იმათ მეფობას ბოლო ედება, რომ ბანკის გახსნის შემდეგ მათთან აღარავინ მივიდოდა ფულის სასესხებლად და ამიტომ ავრცელებდნენ ასეთ ხმებს:

— არსუანთ მოსე იძახის, პეტრე რაღაც ბანკით. ისეთ ვალებს წამოგვადებს კისერზე, რომ იქნება სახლკარის გაყიდვაც მოგვიხდესო.

— მოსეს ის აღონებს, რომ მუშტარი აღარ ეყოლება და ამიტომ ავრცელებს ასეთს ხმებს, ეტყოდა ხოლმე ამგვარ შემთხვევაში პეტრე.

პეტრეს მოუხდა წასვლა ქალაქში. მან ინახულა წვრილი კრედიტის ინსპექტორი, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი ბანკის შესახებ და მისცა დაბეჭდილი წესდება ბანკისა. ამანვე მისცა პეტრეს მზად დაბეჭდილი არზა ბანკის გახსნის სათხოვნელად.

სოფელში რომ დაბრუნდა პეტრე, დაუძახა ნიკოს და ყველაფერი უამბო.

მერე წაიკითხეს გულდასმით წვრილი კრედიტის ამხანაგობის სამაგალითო წესდება. გაიცნეს ორივეგვარი ამხანაგობის წესდება — შემნახველ-გამსესხებლისა და საკრედიტოსი. გაიგეს, რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დასაარსებლად საჭიროა ყველა ამხანაგმა ანუ წევრმა შეიტანოს გადაწყვეტილი საწევრო ფული, რომელსაც ჰქვიათ **პაი**. საკრედიტო ამხანაგობის დასაარსებლად კი საჭირო არ არის ამ ფულის შეტანა. დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რომელი გვარი ამხანაგობა უფრო შეეფერება მათ სოფელს. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს გადასწყვიტეს შემდეგი: რადგანაც მათ სოფელში ბევრი არ მოიპოვება ისეთი, რომელსაც შეეძლოს პაის შეტანა, თუნდა წვრილ-წვრილად, ამიტომ მათ ამჯობინეს ისეთი ბანკი, რომლის გასახსნელად არავითარი ფულის შეტანა არ არის საჭირო. ასეთი ბანკი არის საკრედიტო ამხანაგობა.

აქვე მოიგონა პეტრემ, რომ ინსპექტორმაც საკრედიტო ამხანაგობის გახსნა ურჩია. აი სწორედ ამგვარ ამხანაგობის გახსნა გადასწყვიტეს მათ. წაიკითხეს კიდევ რამდენჯერმე წესდება, მოიფიქრეს კარვად და დარწმუნდნენ, რომ ამგვარ ბანკის საქმის გაძღოლას ადვილად შესძლებენ, მხოლოდ საჭიროა შერჩევა სვინიდისიერ, შრომის მოყვარე და ფხიზელი ამხანაგებისა. ბანკში ყველას შეუძლიან ჩაეწეოს როგორც მდიდარს, ისე ღარიბს, მხოლოდ ზემოდ ჩამოთვლილი ღირსებანი კი უეჭველად უნდა ჰქონდეს. უპირო, ლოთი და ზარმაცი კაცი ამხანაგათ არ მიიღება.

— აბა რა ყრია იმაში, რომ სესიანთ აბელა მდიდარია? სამაგიეროთ ის მე-



ტათ უპირო კაცია. მთელი წელიწადია დუქნის ვალი მართებს და არ აღეგნება. ჩვენ ასეთი უპირო კაცი არ გვინდა. პირიანი უნდა იყოს ამხანაგი, რომ დროზე გადაიხადოს ვალი.

— ლოთებსაც არ მივიღებთ ამხანაგობაში, სთქვა პეტრემ: თორემ ისინი ფულს გაიტანენ და შესჭამენ, საქმეს კი არ მოახმარებენ.

— ოთარანთ ბესო მოიგდებს თუ არა ხელში ფულს, მაშინვე დუქანში გარბის და აბა ასეთი ამხანაგის მიღება რა ხელს მოგვცემს; ბანკი ამ გვარ ხალხს სარგებლობის მაგიერ ზარალს მოუტანს, დაუმატა ნიკომ.

პეტრემ და ნიკომ შეადგინეს სია იმ გლეხებისა, რომლებიც, იმათის აზრით, სვინდისიერნი და მშრომელნი იყვნენ და რომელნიც უარს არ იტყოდნენ ამხანაგობაში ჩაწერაზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ უქმედს, მოიყარეს ერთად თავი ამ შერჩეულმა პირებმა. სულ მოგროვდა 26 კაცი. წაიკითხეს მათ საკრედიტო ამხანაგობის წესდება და გადასწყვიტეს მისი გახსნა. ბაგრამ ვიდრე თხოვნას მისცემდნენ, მათ უნდა გადაეწყვიტათ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი კითხვა. პირველი კითხვა იყო: რომელ სოფელზე უნდა გავრცელებულიყო ამხანაგობის მოქმედება, ე. ი. რომელ სოფლის მცხოვრებლებს შეეძლებოდათ ამხანაგობაში ჩაწერა და ფულის გატანა სესხად. ზოგი ამბობდა, რომ მარტო ჩვენებურებს ჰქონდეთ ნება ფულის გატანისაო.

— ამხანაგობა ჩვენს სოფელში არსდება და ფულიც მარტო ჩვენებურებს მივცეთო.

პეტრემ მოიგონა, რომ ინსპექტორმა ურჩია ამხანაგობის გახსნა მარტო

ერთი სოფლისთვის კი არა, არამედ რამდენიმე ახლო-მახლო სოფლებისთვის.

— ნუ გავიწყდებათ, რომ სახელმწიფო ბანკი მარტო ჩვენთვის არ დაარსებს ბანკს ანუ ამხანაგობას, უთხრა პეტრემ: გარდა ამისა სხვა სოფლების მცხოვრებლები რომ არ მივიღოთ ამხანაგობაში, თვით ჩვენთვის არ იქნება კარგი. როგორც ზევითაც ვსთქვით ამხანაგები უნდა საგანგებოთ დაირჩეს და აბა მარტო ჩვენს სოფელში სად მოგროვდება საკმარისი რიცხვი. ამხანაგები კი ბანკში რაც ბევრი იქნება, იმდენი კარგია, რადგანაც მაშინ შემოსავალიც მეტი ექნება ბანკს. შემოსავალი კი საჭიროა ამხანაგობისათვის ხარჯების დასაფარავად და საკუთარი თანხის შესაგროვებლად. აი ამიტომ საჭიროა სხვა სოფლის მცხოვრებლებიც მივიღოთ ამხანაგობაში.

ზოგი კედევ იძახდა რომ ამხანაგობის მოქმედება გავრცელდეს 10—15 სოფელზეო. მაშინ უფრო მეტი შემოსავალი ექნებაო. მაგრამ პეტრე და ნიკო უხსნიდნენ ხალხს, რომ ძალიან ბევრი სოფლების ჩაწერაც არ ვარგაო, რადგანაც მას თავისი დამპარკოლებელი მიზეზი აქვსო.

— ჩვენ ყველა სოფლების მცხოვრებლებს ვერ ვიცნობთ, თუ ვინ როგორია. ადვილათ შეიძლება ამხანაგობაში შემოგვეპაროს ისეთი, რომელიც არ ევარგება ამხანაგათ და იმისი გატანილი ფული ამხანაგობას გადახდება, რადგანაც შეიძლება არც ქონება აღმოაჩინდეს ვალის ასანაზღაურებლად.

— ჩვენ ამ ნაირ შემთხვევაში მამასახლისის მოწმობა მოვითხოვოთ ხოლმე, იძახდნენ დაჟინებით წინააღმდეგნი.



— მაგითი არაფერი არა გამოვა-რა. მამასახლისი ერთ ხელადა ღვინისთვის რანაირი მოწმობაც გინდა, იმნაირს დაგიწერს, განა თქვენ ეს არ იცით? ეუბნებოდა პეტრე.

— ეგეც მართალია, დაეთანხმენ პეტრეს: უკეთესი იქნება, რომ მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან მივიღოთ ამხანაგობაში წევრებათ, რადგანაც მაშინ შეცდომას არ დავუშვებთ. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლებს თითქმის ყველას ვიცნობთ, თუ ვის რა ქონება აქვს და ან როგორი ხასიათისა არის.

— რასაკვირველია! განა ჩვენ არ ვიცნობთ სოფელ დ. მცხოვრებლებს. აი ამათგან ვინც უკეთესი იქნება, იმას მივიღებთ ამხანაგათ.

— ჩემის აზრით კარგი იქნება თუ მივიღებთ ამხანაგებათ შემდეგი სოფლების მცხოვრებლებს: დ., თ., წ.. ამ სოფლების მცხოვრებლებს ჩვენ კარგად ვიცნობთ და თვით სოფლებიც არ არიან ჩვენგან დაშორებულნი. ამ სოფლებში სულ იქნება ოთხას კომლამდე და, მაშასადამე, ჩვენი ამხანაგობა იქნება არც ღიდი და არც პატარა.

ამაზე ყველანი დაეთანხმენ. ძირითადი თანხად დაადგინეს ეთხოვნათ სახელმწიფო ბანკისთვის ათასი მანეთი.

დარჩათ გადასაწყვეტი ის, თუ რამდენი უნდა მიეცეს სესხად თვითეულ ამხანაგს ანუ წევრს. სამაგალითო წესდებაში ნათქვამია, რომ თვითეულ წევრს ოცდა ათ თუმანზე მეტის გატანა არ შეუძლიან, მაგრამ პეტრემ იცოდა, რომ სოფელ გ. ამხანაგობა ათ თუმანზე მეტს არ იძლევა. ინსპექტორიც ურჩევდა პეტრეს სესხის სიკოტავეს.

— რამდენიც წესდებაშია ნათქვამი, ჩვენც იმდენ-იმდენი გავიტანოთ. წესდებაში ოცდა ათი თუმანია, ჩვენც ოცდა ათ-ათი თუმანი გავიტანოთ, სთქვა ვილაცამ.

— ფულის გატანა ადვილია, მაგრამ საქმე ფულის დაბრუნებაა, უპასუხა პეტრემ. ამხანაგობიდან ფული ჩვენ მაშინ უნდა გამოვიტანოთ, როცა გვიჭირს რაიმე სამეურნეო საოჯახო საქმისთვის. მე კი მგონია, რომ ჩვენგანს ათ თუმანზე მეტი არავის არ მოუნდება. ამხანაგობაში, უეჭველია, შემდეგში ჩაეწერებიან ისეთები, როგორებიც არიან ომარანთ გუჯა, ცხოვრებაანთ გოგია და სხვები. მათ მიუღებლობა ამხანაგობაში არ შეიძლება, უარს ვერ ეტყვი, რადგანაც ისინი კარგი მეოჯახენი არიან, დიდს საქმეებსაც აწარმოებენ და ყველას პირნათლად უსწორდებიან.

— რასაკვირველია, იმათი მიუღებლობა არ შეიძლება. აბა მაშ ვილას მივიღებთ, თუ არ იმათთანა „პირნათელ“ ხალხს, დაუმატა ნიკომ.

— ჰო და, როცა ისინი ჩაეწერებიან ამხანაგობაში, მათ ერთბაშად დასჭირდებათ ფული ბლომად. თუ ყველა მათგანი გაიტანს ოცდა ათ-თუმანს, მაშინ ბევრი ველარ ისარგებლებს ამხანაგობით. შესანახად შეტანილს ფულს ამხანაგობა გაასესხებს თავის წევრებზე და სარგებელს გადაახდევინებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ შესანახად ფული ბევრი შემოიტანონ. თუ ჩვენ ყველანი თავისუფალ ფულს შევიტანთ შესანახად ამხანაგობაში, მაშინ მისი თანხა გადიდდება. როგორც ზევითაც ვსთქვი, ამ ფულს ამხანაგობა ატრია-



ლებს, აძლევს სესხად თავის ამხანაგებს. როცა დასკირდება ფული შემტანს, ამხანაგობა მაშინვე უბრუნებს პატრონს შეტანილს ფულს თავის სარგებლით.

— ამხანაგობაში რომ ფული არ იყოს, მაშინ საიდან დაუბრუნებს ფულს? შეეკითხნენ გლეხები პეტრეს.

— ქალაქში რომ ვიყავი წვრილი კრედიტის ინსპექტორმა მითხრა, რომ თუ ძირითადი თანხა არ ეყოფა ამხანაგობას, შეუძლიან გაიტანოს სახელმწიფო ბანკიდან სესხათ ფული ცხრა თვის ვადით. თუ საჭირო იქნება, ამ ფულით ამხანაგობა ხელს მოინაცვლის ცხრა თვის განმავლობაში და მერმე უკანვე დაუბრუნებს სახელმწიფო ბანკს. შემდეგ თუ კიდევ დასკირდა ფული, კიდევ შეუძლიანთ გამოიტანონ. ამ თანხას ჰქვიათ მოკლე ვადიანი სესხი. ჩვენ ისიც უნდა გადავწყვიტოთ, თუ რამდენი ვითხოვთ მოკლე ვადიანი სესხი, უხსნიდა პეტრე.

— ეს რაღაა? ას თუმანს კიდევ დაუმატებს სახელმწიფო ბანკი?

— ჰო, როცა დაგვკირდება ფული, კიდევ მოგვცემს სესხათ ცხრა თვით ან ნაკლები ვადით, რომელიც ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იქნება. მოკლე ვადიან სესხს არ იძლევა ცხრა თვეზე მეტის ვადით, მაგრამ შეიძლება გამოვიტანოთ 2, 3, 5 და 8 თვის ვადით. შეიძლება ეს ფული სრულებით არც კი გამოვიტანოთ.

— რასაკვირველია, თუ კი უიმისოთ იოლად წავალთ, რად გვინდა მოკლე ვადიანი სესხის გამოტანა, სთქვა ნიკო.

— ჩემის აზრით, — განაგრძო პეტრემ: — ეს მოკლე ვადიანი სესხი უნდა

ვითხოვოთ ბევრი, რომ მუდამ გვეკონდეს ფული, შეიძლება მოკლე ვადიანი სესხი ვითხოვოთ სამასი თუმანი.

— მოკლე ვადიანი სესხის მიზანიც ის არის, რომ მიეცეს სესხი რაც შეიძლება ბევრს მშრომელ და კეთილსინიდიისიერ ხალხს, თუნდა ისეთს, რომელსაც დიდი შეძლება არა აქვს და დიდს საქმეს არა ჰკიდებს ხელს. ამისთანა ხალხისთვის მუდამ საკმარისია ათი თუმნის სესხი. ფულიც მუდამ გვექნება ბანკში, როცა ცოტ-ცოტას მივცემთ. ჩვენ როცა ათ-ათი თუმანი მივცეთ თითო წევრს, მაშინ მოვა ოთხი მდიდარი ამხანაგი და ერთბაშად გაიტანს ას ოც თუმანს. თუმცა შეიძლება ჩვენ არ მივცეთ ფული, მაგრამ დასაბუთებულ უარს კი ვერ ვეტყვით, რადგანაც ისინი ცნობილი არიან, როგორც სვინიდიისიერნი მეოჯახენი. ჩვენ რომ ათ-ათი თუმანი გადავსწყვიტოთ, მაშინ იმ 120 თუმნით მარტო ოთხ კი არა არამედ 12 ამხანაგს დაგაკმაყოფილებთ.

— რასაკვირველია, საშუალო მეოჯახესთვის ოცდა ათ-ათი თუმანი ბევრია. მისთვის ათი თუმანიც საკმარისია, დაეთანხმნენ ზოგიერთები.

— ჯერ-ჯერობით მე გირჩევთ სესხის გატანას ათ თუმნამდე, იძახდა პეტრე. როცა ჩვენი ამხანაგობის საქმე წინ წავა, მაშინ შეიძლება სესხის ვადიდება 15—20 თუმნამდე. ამის დადგენა სახელმწიფო ბანკის ნებართვით ჩვენ მუდამ შეგვიძლიან. დაუჯერეს პეტრეს და თვითეულ წევრისთვის სესხის რაოდენობა განსაზღვრეს ათი თუმნით.

— ასი თუმანი ცოტაა, რაც ვინდა ცოტ-ცოტა გაიტანონ ფული, მაინც ყველას არ ეყოფა, სთქვა ერთმა გლეხმა.



— ძირითადი თანხის გარდა ამხანაგობას ექნება სხვა თანხებიც. ამხანაგობას წესდების ძალით ნება აქვს მიიღოს ფული შესანახად. თუ ვისმეს ამხანაგს ან გარეშეს თავისუფალი ფული ექნება, შეუძლიან ეს ფული ამხანაგობაში შეიტანოს შესანახად. ამხანაგობა მოვალეა დაუბრუნოს ფული პატრონს, მაშინ, როცა კი უკანასკნელი მოისურვებს. მიზარებულ ფულში ამხანაგობა შემტანს სარგებელსაც მისცემს. სარგებელშიაც სარგებელი უნდა ვამლიოთ სახელმწიფო ბანკს? — ჰკითხეს პეტრეს.

— ამ ფულში სარგებელს მივცემთ მარტო ამ დროსას, რა ხანსაც ჩვენ გვექნება ხელში, თუ მოკლე ვადიანი სესხი არ დაგვჭირდება და არ გამოვიტანთ, მაშინ სარგებელსაც არ მივცემთ, უპასუხა პეტრემ.

ამ საუბრის შემდეგ შეადგინეს თხოვნა, მოაწერეს ხელი და მიანდეს პეტრეს მისი გაგზავნა სახელმწიფო ბანკში.

— ვნახოთ იქნება გამოვიდეს რამე, იძახდნენ ზოგიერთები.

— არათფერიც არა გამოვა-რა და ტყუილად თავს იწუხებთ,— გაიძახოდნენ მეორენი, რომლებმაც არ მოისურვეს ხელის მთწერა.— ნეტა გიჯივინ იქნება, რომ თქვენ ოთხასი თუმანი მოგცეს. ეხლა ათ თუმანს ვერ იზოვის კაცი და ესენი კი ოთხას თუმანს სთხოვენ. ერთი იმათ უყურე, რა გამოიგონეს! როგორ არა, სულ ორი ხელით მოგცემენ ფულს!...

მაგრამ იმათ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სამი თვის შემდეგ პეტრემ მიიღო საკრედიტო ამხანაგობის გახსნის ნებართვა. ამასთანავე ძირითად თანხად სახელმწიფო ბანკი ჰპირდებოდა ას თუმანს გრძელის ვადით და სამას თუმანამდე მოკლე ვადით.

ს. კახელიძე

(დასასრული იქნება)

## საყურადღებო ცნობები

### ვიროაგვების გასაწყვეტი საშუალება.

აიღეთ ორი ნატეხარი. ერთში ჩაყარეთ ტოლ-ტოლად ფქვილი და გიჰსი ან წყალდაუსხმელი ახალი კირი ერთმანეთში კარგად არეული. მეორეში კიდევ წყალი ჩაასხით და ორივე ნატეხარები დადგით, სადაც ვიროაგვები არიან. მიაგნებენ თუ არა ამ ნატეხარებს ვიროაგვები ფქვილს ხარბად დაუწყებენ კამას, კირი მოაწყურებს წყალს, რომელსაც აქვე დაეწაფებიან. ვიროაგვებს ჩაელეკებათ-ჩაუტინდებათ კუჭში ეს კირი და ცხოველი მოკვდება წაშალი არ უნდა დასველდეს.

**უმი ხორცის შენახვა.** სოფელში, სადაც საკლავი გვიან-გვიან იკვლება, უმი ხორცის შენახვას ისე რომ ხორცი არ გაფუჭდეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

საფრანგეთში მაგალითად ხორცს ასე ინახავენ: ჩააწყობენ უმ ხორცს კარგად გამორეცხილ თიხის ქილაში და გარეცხილ გასუფთავებული ქვით ჩასუკუნნიან შიგ. მერე ქილას აავსებენ რძით. რძე მეორედღვე შედუღდება, ხალა ხორცს ამით არა დაუშავდება რა. პირიქით მშვენიერად ინახება, უფრო ნაზდება და გემრიელდება. როცა დასჭირდებათ იღებენ ქილიდან ამ ხორცს ან შიგ ქილაშივე მოსჭრიან რამდენიც უნდათ და დანარჩენს ისევე ინახვენ. ჩარჩენილი ქილაში შედგებული რძე მშვენიერი საჭმელია ქათმებისათვის, გოჭებისთვის და სხვა.

ხორცის ქილა სიგრილეში უნდა ინახებოდეს.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე